

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N64.30.01.188; 64.30.08.517; N64.30.08.518; N64.30.08.519) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანებისდეტალური გეგმა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილების „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 5 მარტის ბრძანების N31/ო ბრძანებისა და 2020 წლის 19 მარტის N1/21 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N64.30.01.188; 64.30.08.517; N64.30.08.518; N64.30.08.519) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანებისდეტალური გეგმა განხილვა;

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 4 კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს: N74.06.11.185; N74.06.11.654; N74.06.11.386; N74.06.11.777 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიას საერთო ფართობით 2090 კვ.მ.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და შედგება ოთხი საკადასტრო ერთეულისგან, რომელთა ჯამური ფართობია 339.250 კვ.მ. საკურორტო ზონა-2 (შზ-7). ქვეზონის განაშენიანების ზოგადი პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0.2; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2-0.2; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ3-0.4; მაქსიმალური სართულიანობა 3 + მანსარდის სართული; მაქსიმალური სიმაღლე კედლის ბოლომდე 11 მეტრი, კეხში 16 მეტრი.

ამასთან დაბა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის გენერალური გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტით განაშენიანების დეტალური გეგმით, საკურორტო ზონა 2 (შზ-7)-ში თუ მიწის ნაკვეთზე შენობის განთავსება ხდება საკადასტროს ყველა საზღვრიდან მინიმუმ 60 მეტრის დაშორებით, ამ შემთხვევაში შენობის მაქსიმალურ სიმაღლედ განისაზღვრება 22 მეტრი, მაქსიმალური სიმაღლე კეხის ჩათვლით 25 მეტრი, ხოლო მაქსიმალური სართულიანობა - 6. (მუხლი 10, მე-2 პუნქტი, დ) ქვეპუნქტი) სასტუმროსთვის, რომლის სიმაღლედ აღემატება 11 მეტრს მოქმედებს რეგლამენტის აღნიშნული ჩანაწერი.

დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის განვითარება განაშენიანების გეგმით დადგენილი პირობებით, რაც გულისხმობს მრავალფუნქციური კომპლექსის განვითარებას (სასტუმრო, აპარტოტელი, კოტეჯები, სპორტული მოედნები, კვების ობიექტები, სათხილამურო ტრასები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა რეკრეაციული ობიექტები და ა.შ).

საპროექტო ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში 2021 წლის 28 აგვისტომდე, შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mradi.gov.ge